

სამართლებრივი ტენდენციები

ევროპის საბჭოს ეგიდით საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული ევროპის უზენაეს სასამართლოთა თავმჯდომარეების მეშვიდე შეხვედრის დასკვნები

კასაცია: ფარგლები, ხასიათი და საჩივრებისთვის თავის გართმევა

ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა მეშვიდე შეხვედრამ, რომელიც გაიმართა თბილისში, 2002 წლის 15-17 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით თემაზე „კასაცია: ფარგლები, ხასიათი და საჩივრებისთვის თავის გართმევა“, გასაქანი მისცა დებატებს, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა წინა შეხვედრაზე (ვარშავა, 2000 წლის ოქტომბერი). ეს დებატები შეეხებოდა უზენაეს სასამართლოებში შემოსული საქმეების რაოდენობის შემცირების და ამ სასამართლოთა გადატვირთვის დაძლევის პრობლემას ისე, რომ მათ შეძლონ განახორციელონ თავიანთი ძირითადი მიზანი, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება კანონის ერთგვაროვან განვითარებასა და განმარტებაში. ადასტურებენ რა თავიანთ შეთანხმებას პრინციპის ირგვლივ, რომელიც გამოითქვა მათ მეოთხე შეხვედრაზე (კიევი, 1998 წლის ოქტომბერი), რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო ფუნქციის რაციონალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდეს უფლებას სასამართლოზე, ასევე, აღიარებენ რა ეროვნული სასამართლოების როლს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საქმეთა რაოდენობის შემცირებაში, მონაწილეები აცალიბებენ გარკვეულ ღონისძიებებს მიმართულს საკასაციო სისტემებისა და პროცედურების გაუმჯობესებისაკენ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა არ ემზრობა საკასაციო სისტემას, სხვადასხვა სამოსამართლო სისტემის შედარებითი ანალიზი წარმოაჩინა იმ საყოველთაო სახელმძღვანელო პრინციპების მიღების აუცილებლობას, რომლებიც შესაბამისობაში იქნება თითოეული სახელმწიფოს ტრადიციებთან და სხვა თავისებურებებთან. იწონებენ რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R(95)5 რეკომენდაციას სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე გასაჩივრების სისტემების დანერგვისა და გაუმჯობესების თაობაზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეს ინსტრუმენტი გამოყენებულ უნდა იქნეს საკასაციო სისტემების ორგანიზებაშიც.

ამ მოთხოვნების მხედველობაში მიღებით, მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ ორი სახის ღონისძიებების მიღების აუცილებლობას:

1. პრევენციული ან კორექციული ღონისძიებების გამოყენება საკასაციო წესით განსახილველი საქმეების რაოდენობის შესამცირებლად:

- კანონმდებლობის გამარტივება;
- საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოების ავტორიტეტის განმტკიცება;
- სპეციალიზებული ადვოკატის გამოყენება იმ მიმართებით, რომ ამ ღონისძიებას თანსდევდეს სამართლებრივი დახმარების სისტემის სრული ფუნქციონირება პროცესში მონაწილე პირების თანასწორობის უზრუნველსაყოფად;
- მკაცრი საპროცესო წესების დადგენა, მაგალითად ვადების ან სხვა საპროცესო ფორმულების, რომელთა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გასაჩივრების უფლების დაკარგვა;
- შესაძლებლობა და, უფრო მეტიც, აუცილებლობა იმისა, რომ დანესდეს შეზღუდვები

საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. ეს შეზრუდებები შექმნიან შესაძლებლობას წინასწარ შეირჩეს უზენაეს სასამართლოში სამართლებრივ საკითხებზე განსახილველი საქმეები. მიუხედავად ამისა, მხარეები თვლიან, რომ ეს შერჩევა უნდა შეიცავდეს გარანტიებს: დაუშვებელი საჩივრები პირდაპირ უნდა იყოს მოცემული კანონში და მას უნდა იხილავდეს უზენაესი სასამართლოს წევრი ან წევრები;

- უზენაესი სასამართლოს მოქმედების ფარგლების დეფინიცია: ზოგიერთ სისტემაში კასაცია ეხება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს და ამ შემთხვევაში განსხვავება სამართალსა და ფაქტს შორის უპირისპირდება ისეთ სისტემებს, სადაც ასეთ განსხვავებას არ აკეთებენ ერთგვაროვანი კრიტერიუმის არარსებობის გამო.

- არაკეთილსინდისიერი საჩივრების გამორიცხვა გამარტივებული და სწრაფი პროცედურების გზით.

2. ღონისძიებები, მიმართული უზენაესი სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისკენ, განსაკუთრებით:

- სამართლებრივ სფეროში დამხმარე პერსონალის ჩამოყალიბება;

- საქმეების სანყისი გამოკვლევა კატეგორიების, ან სიმძიმის მიხედვით მათი კლასიფიკაციის მიზნით;

- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია პრევენციულ სამართალში კონფლიქტების თავიდან აცილებისკენ (მაგალითად, კონსულტაციები სასამართლოს წევრებს შორის, პალატებს შორის და სხვა);

- მოკლე დასაბუთება კანონზე დაყრდნობით;

- საქმეთა წარმოების, მართვის, საქმეთა არჩევის მიზნით, კლერკის სამსახურის უკეთესად ორგანიზაციის და პრევენციულ სამართალში გადაწყვეტილებათა სწრაფი მოძიების მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომლის დროსაც დაცული იქნება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი, რაც ხაზგასმით აღინიშნა მეხუთე შეხვედრაზე (ლუბლიანა, 1999 წლის ოქტომბერი).

მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჩივრებზე შეზღუდვების დანერგვამ არ უნდა განსაზღვროს უზენაეს სასამართლოთა მოქმედებები ისევე, როგორც ეს არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიზანს. უპირველეს ყოვლისა, სასამართლოების მიზანია ემსახურონ საჯარო ინტერესს და ასევე პროცესში მონაწილე მხარეებს. ინდივიდუალური საჩივრის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საკანონმდებლო წესით ნათლად და სპეციფიკურად დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმების შესაბამისად. სტატისტიკური ანალიზი წინ უნდა უსწრებდეს საკასაციო წესით განსახილველი საქმეების შემცირების ყოველგვარ ღონისძიებას ისევე, როგორც ღონისძიებებს, მიმართულს სტრუქტურული ცვლილებებისკენ. რაციონალიზაციის ნებისმიერი მცდელობა ანგარიშს უნდა უწევდეს სასამართლოთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპს, ასევე უფლებას სასამართლოზე და საქმის სამართლიან განხილვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრევენციული სამართლის გათვალისწინებით.

დისკუსიების ბოლოს მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩამოყალიბებული საკითხები უნდა წარმოადგენდეს იმ ღერძს, რომლის ირგვლივაც მოხდება კონცენტრაცია შიდასახელმწიფოებრივი სისტემების საკასაციო იურიდიციის დახვეწის პროცესში.

ევროპის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები და მოსამართლეები, რომლებიც დაესწრნენ თბილისის შეხვედრას, გულთბილ მადლობას უხდებიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამ შეხვედრის საუკეთესო ორგანიზაციისთვის. ევროპის საბჭოს ეგიდით გამართული რეგულარული შეხვედრების ღირებულებაში დარწმუნებული მონაწილეები მოუწოდებენ ევროპის საბჭოს ყოველმხრივ დაეხმაროს ევროპის იუსტიციის მინისტრების ოცდამეორე კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის რეალიზაციის მიზნით.